



# ქვეყნის

1991  
შ ა ბ ა თ ი  
23  
თეატრალი  
№ 23 1104161  
ზანი 5 კაპ.

ზოგადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

## პროგნოზი: საზოგადოებრივი რეკონსტრუქცია

როცა ჩვენს თვალწინ მიმდინარე გარდაქმნის პროცესებს თვალს ადევნებ, უნებლიედ გიჩნდება სურვილი კრიტიკულად გაანალიზო ამჟამად შექმნილი, სოციალური და ეკონომიკური სიტუაციები. მისი წარმოშობი წყაროები.

ახალს არაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთხელ კიდევ მივანიშნებ მკითხველთა ყურადღებას იმ ისტორიულ რეალობებზე, რამაც საზოგადოებრივი განვითარების გზაზე ამდენი ბარიერი აღმართა და საბოლოო ჯამში ჩვენი ეკონომიკა ჩინში შევიყვანა. ყველაზე მთავარ მიზეზად ის მიმაჩნია, რომ სახელმწიფო მონოპოლია იყო დაწესებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე. ბრძანებულურ-ადმინისტრაციულ მეთოდს შესაძლოა რაღაც ჯგერებით, საგანგებო ვითარების ფაზის მიმართოს ქვეყანაში მაგრამ მისი სისტემად ქცევა, მეურნეობის მთლიანად ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპზე აგება ყოველად გაუგებარა. ეკონომიკური დირექტივებით და დოკუმენტაციებით მართვის საბოლოოდ

უნდა დაესვას წერტილი. თვისობრივად ახალი შინაარსი უნდა მიენიჭოს პოლიტიკურ და ეკონ-

ქტურების შესაქმნელად ჯერჯერობით ვერ ესწრება. ამისთვის გარკვეული დრო და ანალიზური

## ყველაფერს ჩვენვე მოხლოვება გ ა ღ ა ო ყ ვ ე ტ ს

ომიკურ სტრუქტურებს. უფრო ფართო გასაქანი უნდა მიეცეს საკუთრების ალტერნატიულ ფორმებს, შერეული ეკონომიკის პრინციპს, რაც ამ ფორმებს შორის კლასობრივი ანტაგონიზმის წყარო სრულებით არ განლაგვთ. არადა, ამ მომენტიც ახლაც აშინებენ ხალხს ზოგიერთი კონსერვატიული და მოაზროვნე ავტორები.

გვჭერა, რომ კურსი, რომელსაც ადგას საქართველოს უზენაესი საბჭო სასოფლო პოლიტიკაში, ამჟამად შექმნილ რეალურ ვითარებას შეესაბამება. მიწის დარიგება გლეხური მეურნეობების და სხვა კერძო სტრუ-

ქტურების შესაქმნელად ჯერჯერობით ვერ ესწრება. ამისთვის გარკვეული დრო და ანალიზური

მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება საჭირო. დროთა განმავლობაში ყველა ეს საკითხი ისე მოგვარდება, როგორც ამას ჩვენი საშუალებების ინტერესები მოითხოვს. ყველა საგანს და მოვლენას თავის ადგილს მიუჩენს კანონი მიწის შესახებ, მოქალაქეობის შესახებ და ა. შ.

ყველამ ვიწამოთ ერთი რამ: სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საერთო ორიენტაცია გამოკვეთილია. უახლოეს ხანში ეს ძირითადი, დეტალური პროგრამების სახით ჩამოყალიბდება. ახლა მთავარია ეს პროგრამა თითოეული მშრომლის შეგნებამდე იქნას დაყვანილი.

## პატ. თამაზ ქორქოლიანს!

დალოცვილი იყოს თქვენი გზა და ყოველი ნაბიჯი. დალოცვილი იყოს თქვენი მოღვაწეობა, რომელიც, ამ ყოველმხრივ აწეწილ ფაზს, თქვენგან მოითხოვს უმძიმეს შრომას, მოვალეობისადმი უდიდეს პასუხისმგებლობას, თავდადებას, ბევრ მაღალადამიანურ ღირსებათა წარმოჩენას და ენერჯის უზოგველ ხარჯვას ჩვენი ჰრავალტანჯული ერისა და ხალხის საკეთილდღეოდ. გვჭერა გავიმართლებთ.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი!

ირაკლი შვანიძე.

## ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად დაადგინა ერთ ოლქში დეპუტატობის დამატებით კანდიდატა წარდგენისათვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით:

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა ნაკლებია 200-ზე, საკმარისია ამ ოლქის 5 ამომრჩეველის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა 201-დან 1000-მდე,

საკმარისია ამ ოლქის 20 ამომრჩეველის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა 1001-დან 4000-მდე, საკმარისია ამ ოლქის 40 ამომრჩეველის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა 4000-ზე მეტია, საკმარისია ამ ოლქის 100 ამომრჩეველის ხელმოწერა.

ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენა შეიძლება ტერიტორიულ და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში.

## მეაბრეშუმეობა

### მეთუთეობის განვითარებით

მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ერთერთი უძველესი დარგია. აბრეშუმის ქვის ნორმალური გამოკვება დიდად არის დამოკიდებული ადგილობრივი საყვები ბაზის შექმნაზე, კერძოდ მეთუთეობის განვითარებაზე.

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების სათავე ჯერ კიდევ მესხეთზე საუკუნოებია იწყება. მას დიდი ენთუზიაზმით მისდევდნენ ჩვენი რაიონის მშობრელებიც. წლით-წლით იზრდებოდა პარკის წარმოება, მაგრამ 1964 წლიდან დასაქმდნენ საქართველოში ფართოდ გავრცელებულმა თუთის დაყვადებამ (სწორილფოთოლა სისუტუქეა) განაღდგურა თუთის კულტურული ნარგავობა და პარკის წარმოება. სანახევროზე მეტად შეამცირა.

რეაბრეშუმის კოლექტივმა აიღო ინიციატივა და პარკსაშრომის ტერიტორიაზე მოაწყვეს თუთის საჩითილე საბუთრი, საიდანაც შარშან გამოიყვანეს 30

ათას ძირამდე თუთის სტანდარტული თესვ-ნერგი. მისი ღია გრუნტებში გადატანით მიიღეს მაღალხარისხოვანი ნაყენი ნერგები.

შარშან პარკის სარეკორდო მოსპვალის ჩაგვებარეს ორსანტიელმა ლამარა ქვარაიამ, რუხელ-

## ჩვენვე დაგვანებონ

ისტორია შეუფალი ობიექტურობით აფიქსირებს ნებისმიერ მოვლენას, ფაქტს. ოსთა და ქართველთა ურთიერთობაში, მართალია, იყო ცალკეული გაუგებრობები, დაპირისპირების ფაქტები, მაგრამ მეტწილად ჩვენს თანაცხოვრებას უფრო ნათელი ეპიზოდები ამშვენებს. ერთიანი დროშის ქვეშაც გვიბრძოლია გარეშე მტრების მოსაგერიებლად. მოგვიანებით, ოსეთს ცარიზმის კოლონიალისტური პოლიტიკა მსჯავრულად იყენებდა ქართველებს დასათრგუნვად, რათა მათ ეროვნული ძალების კონსოლიდაცია არ მოეხდინათ. რაოდენ დასანანი,

მა გული ფარცვანამ და სხვებმა.

გასულ წელს რაიონში წარმოებულ იქნა 443 ცენტერი აბრეშუმის პარკი. ჩვენი მეაბრეშუმეები წელსაც მაღალ აგრესიულ ნიჭურ ღონეზე აწარმოებენ ქვის გამოკვებას, შემატებენ დამოუკიდებელ საქართველოს ეკონომიკას.

ბ. მელაძე,  
სათაო პარკსაშრომის დირექტორი.

## მოსავალი — 91

### უყრჩაან საფუძველს

გაურკვევლობის ბურუსი გაქრა. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ მინდვრის სამუშაოების დაყოვნება დალათის ტოლფასია. საქართველოს სკირდება ძლიერი ეკონომიკა და ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას მშრომელმა გლეხობამ, რომელიც დგას იმ პოზიციაზე, რომ საქართველოში მოწვეული ქირნახული მოხმარდეს საქართველოსთვის.

ახალკახათელი მშრომელები მხარს უზამენ დღევანდელ გარდაამავალ პერიოდში შექმნილ სიტუაციას, დიდი მონდობებით ეკიდებიან საქმეს, რამაც შედეგებში იჩინა თავი.

88 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია შემოსავალის ძირითადი

წყაროა, ამიტომაც უფლიან მას ასე გულმოდგინედ ჩაირი ტემპით ნინდინარეობს. გადაბარვა-გაფხვიერება, სასუქების შეტანა. ეს სამუშაო დღესათვის შესრულებულია 55 ჰექტარზე და იგი გრძელდება.

სასიმინდე ნიადაგის პირველი ხვნა დამთავრებულია 100 ჰექტარზე. საუკეთესოდ ხარობს 20 ჰექტარზე ნათესი მრავალწლიანი ბაღახები, 10-ზე შვრია და 5 ჰექტარზე რაფსი.

უვენებლად იზამორებს 250 სული პირუტყვი, აქედან 50 ფური. სრულდება სახელმეკრულეობ დავალება იანვარ-თებერვალში სახელმწიფოსათვის რძისა და ხორცის მიყიდვის საქმეში.

ბ. ანდრიაძე.

## ემზადებიან სეზონისათვის

ჩაის მწვენი ფოთლის კრეფის სეზონისათვის დიდი საშუაღისია ინგირის კოლმეურნეობაში. ინგირელები აქედანვე უყრჩაან საფუძველს მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

სოფლის მეურნეობის ბ. ქარჩავა რედაქციას ატყობინებს, რომ ინგირელებმა 22 თებერვლისათვის ჩაის გადაბარვა-გაფხვიერება ჩაატარეს 200 ჰექტარზე. მიმდინარეობს მინერალური სასუქების შეტანა და სადრენაჟო არხების ამოწმება.

მიწურულს უახლოვდება სასიმინდე ნიადაგის პირველი ხვნა. 180 ჰექტარიდან ეს სამუშაო ჩატარებულია 90 ჰექტარზე და იგი დამთავრდება პირველი მარტისათვის.

ჩაის მწვენი ფოთლის კრეფის სეზონისათვის დიდი საშუაღისია ინგირის კოლმეურნეობაში. ინგირელები აქედანვე უყრჩაან საფუძველს მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

სოფლის მეურნეობის ბ. ქარჩავა რედაქციას ატყობინებს, რომ ინგირელებმა 22 თებერვლისათვის ჩაის გადაბარვა-გაფხვიერება ჩაატარეს 200 ჰექტარზე. მიმდინარეობს მინერალური სასუქების შეტანა და სადრენაჟო არხების ამოწმება.

მიწურულს უახლოვდება სასიმინდე ნიადაგის პირველი ხვნა. 180 ჰექტარიდან ეს სამუშაო ჩატარებულია 90 ჰექტარზე და იგი დამთავრდება პირველი მარტისათვის.



# თავისუფლება დემოკრატიის გარეშე არ არსებობს

ყოველგვარ ხელისუფლებას უნდა ჰყავდეს ოპოზიცია, ამის გარეშე წინსვლა შეუძლებელია. კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ასეთი წინააღმდეგობა: მე შემქმნენ ჩემმა კრიტიკოსებმა და მასწავლებელმა, რომ მუდამ ფიზიკადა ვიყო.

ხელისუფლება ოპოზიციის გარეშე ეს არის დიქტატურა. ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ესმის ეს, ვისაც ესმის ეს და ძალით იყრუებს თავს უსათუოდ მტერია ყოველი ქართველი.

ჩვენი კონსტიტუციით, თუმცა უკანონოთი, მაგრამ ფაქტურით მნიშვნელოვანი გვაქვს სიტყვის, პრესის, კრების, დემონსტრაციის თავისუფლება... და განა აქვს რაიმე გამართლება იმას, რომ რა დროც არ უნდა იყოს, რეალურად არ ვითხოვდეთ მას? ჩვენი აქციები ხომ უაღრესად მშვიდობიანია. პროვოკატორები კი ცდილობენ ოპოზიციის მოთხოვნებს პირადი სარჩული დაუდონ და პირად კონფლიქტში გადაზარდონ იგი. თუ ჩვენ ვიბრძვით ქვეშაობრივ თავისუფლებისათვის, უნდა ვაღვივებდეთ აღამიანებში თავისუფლების წყურვილს, უპირველეს ყოვლისა—პროვოკაციის თავისუფლებისა, რაც განა უთავისუფლება დემოკრატიის გარეშე არ არსებობს, ისევე როგორც დემოკრატიაც თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია. ხოლო არადემოკრატიული მეთოდებით პიროვნებას კი არ ვათავისუფლებთ, არამედ ვთრგუნავთ, და განა დარბაზული აღმშენებელი შეძლებს თავისუფლებასთან ბრძოლას?... ეს არის ჩვენი სატიკური და არა ის, რომ ზოგიერთი პროვოკატორი თანამდებობისათვის ბრძოლას

გვაბრძობს... ჯერ ერთი, ამ აქციების მონაწილე უმეტესი პარტიები არც მონაწილეობდნენ არჩევნებში, ვინც მონაწილეობდით, ჩვენი პროგრამები გვემონდა, რომლის განხორციელებასაც ვითხოვთ დღესაც ამ აქციებზე, მეტი არაფერი... არც არავის მოსსნა, მოსპობა და მტრობა ჩვენ არ გვინდა, არც არავისთვის მიგვიკერებია მოლაპარაკების ძარღვი, ყოველი გონიერი ადამიანისთვის, არა გვგონია, ეს გაუგებარი იყოს. მაგრამ ისეთები კი ბევრია, ვინც განზრახ იბრძობებს და იყრუებს თავს. ვისაც ერთი პროვოკაციული ფრაზა ჩაუტყედა ტენიში და წამლაუწუმ იმას იმეორებს, შენი არც მოსმენა უნდა და არც გაგება, ხოლო ნებისმიერი განსხვავებული აზრისათვის შეტევაზე ვაღმოდის, ჩაქოვითა და განადგურებით ემუქრებიან მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს. ვინ არიან ისინი, ვისაც პირზე მხოლოდ სიტყვა „მოლაპარაკე“ აკერიათ? ისინი სტალინური რებრესიების წლებში მეგობრების, მეზობლების დამბნელებელთა სკოლიერი შთამომავლებია, და ისევე როგორც დღეს აწევთ ტვირთად იმ დამბნელებელთა შთამომავალთ ცოდვა, ასეთივე ცოდვად დააწვება შთამომავლობას იმათი ნამოქმედარი, ვინც ცეცხლს უკიდებს მშვიდობიანი აქციის მონაწილეთ, ვინც ანადგურებს ღირსეულებს, ხელყოფს მომიმშობლებს.

განა შეიძლება ვანდალიზმის უფრო მეტი გამოვლინება. შუა საუკუნეებშიც კი წარმოუდგენელი იყო ასეთი რამ. თუ ჩვენი ცოდვა ასე გაიდგამს ფეხს, ყოველს შემძლე ღმერთი ალაბათ ისე დაგვსჯის, როგორც ქალავა

სოდომი და გომორა მიწისაგან პირისა ცოდვების გამო. ვიფიქროთ ამასზე...

12 თებერვალს კარავი დასწევს სამტრედიისკენ, დაარბიეს ფოთის აქცია, მაგრამ ისეთი უპრეცედენტო რამ, რომ ეცემოთ მომიწილეთ, არსად, არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. ზუგდიდებში ამასიც არ დაეუღეთ არავის ტოლი... და საუბედუროდ, ეს ყველაფერი ცროვენის სახელით კეთდება. ვინ მისცა საწყისა ამ ვანდალიზმს, საიდან და იწყო ეს ყველაფერი?

იქიდან დაიწყო რომ როცა ზუგდიდში ჩამოსულ ეროვნული დემოკრატიის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წარბეთლიან და სხვებთან ფიზიკური დაპირისპირება სცადეს, არც მაშინდელმა, ეროვნული დემოკრატიის პარტიის ზუგდიდის კოორდინატორმა, არც სხვა

ორგანიზაციებმა არ მივეცი ამ ფაქტს სათანადო შეფასება, არ დაიგმო საჭაროდ იმ არაშეადის საქციელი. მაგრამ ჩვენ ხომ უკლებლივ ვიცნობთ ერთმანეთს, ყველამ ხომ ვიცით, ვინ არიან ისინი და ვინ დგას მათ ზურგს უკან. ასეთი გამოხდომები სამარცხვინო ლაქად დარჩება ზუგდიდის მთელი ეროვნული მოძრაობის ისტორიაში.

სრულ უმოქმედებას იჩენენ დღეს სამართალდამცავი ორგანოები, განა მათთვის შესახებებელი უნდა იყოს, რომ წესრიგი უზრუნველყონ საზოგადოებრივი თავშეფარის ადგილებში, ხოლო როცა სცემდნენ მომიმშობლებს, ერთი მილიციელიც კი არ იყო იქ. ახლა გვიკვირს და მთელი აქციები იქითკენ გადავაქვს, რომ ვგმობთ სროლას და ძალადობას შეიარაღებული ადამიანების მხრიდან. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ასეთი მეთოდების მომხრე და არც დღეს ვუჭერთ მას მხარს, მაგრამ იმას

ხომ უნდა დავუფიქროლოთ, რამ გამოიწვია ეს... იგასამოწყვია სწორედ ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების სრულმა უმოქმედობამ. პელსინკის კავშირმაც კი, რომლის უშუალო ფუნქცია პიროვნების უფლებების დაცვაა, არ გამოატა თავისი პოზიცია ამ საკითხში. ინდივიტობალია და რუსულან ქარია დაგვიბრდნენ, მიტინგზე გამოვალთ და საჭაროდ დავეგმობთ აქციის მონაწილეთა მიმართ განდართულ გამოხდომებს, მაგრამ შედეგად, გაუგებარი მიზეზების გამო თავი შეიკავებს. აი, ასე იცავენ პიროვნების უფლებებს... აი, აქედან მოდის საწყისა.

ჩვენ, ეროვნულ კონგრესში შემჭვრელი ორგანიზაციები, ვინც ვალდებული ვართ გავაგრძელოთ უკომპრომისო ბრძოლა კრემლის ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოს წინააღმდეგ დემოკრატიის სრული დემოკრატიის დამოუკიდებლობისათვის მშვიდობიანი პოლიტიკური აქციებით, დღეს გამოვდივართ მიმართეთ:

## სამართალდამცავი უწყისე საზოგადოება, ჯ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის კრებულებს ზუგდიდის ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციისათვის მიმართ

ვანდალური გამოხდომები მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა მიმართ ხელს აძლევს მხოლოდ საქართველოს მტერს.

თუ საქართველოს პარლამენტი იბრძვის ქვეშაობრივი თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, თუ ქვეყნი საერთო მიზანი პიროვნების თავისუფლება და დემოკრატიის, თუ კანონზომიერად მიგანიათ ყოველი მთავრობისათვის ოპოზიცია; მოვითხოვთ:

1. მოგვეცეს სიტყვის, პრესის, კრების, თავისუფლება, მშვიდობიანი აქციების ჩატარებისას უსაფრთხოების გარანტია.
2. შეწყდეს ქვეშაობრივი ეროვნული ძალების მისამართით პროვოკაციული გამოხდომები და უსაფრთხოების იარაღების მიკერება.
3. უზრუნველყოფილი იქნეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მშვიდობიანი აქციების სრული უსაფრთხოების გარანტია. ამ აქციებზე ჩვენის მხრიდან გამოხდომებს არც პქონია და არც ექნება

ადგილი, ამიტომაც რაიმე ექსცესების შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაგვეისრებათ თქვენ, ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ორგანოებს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციური ორგანიზაციები იძულებული ვიქნებით ჩვენი სამართლიანი ბრძოლა საქართველოს სრული დემოკრატიისათვის განვაგრძოთ არალეგალურად, როგორც იტყვიან, იატაკქვეშ, რაც დიდად შეაფერხებს საერთო-ეროვნული მოძრაობის წინსვლასა და განვითარებას და საბოლოოდ დაამუხრუჭებს ქას. ამის გამოც პასუხისმგებლობა დღევანდელთა და მომავლის წინაშე დაგვეისრებათ თქვენ, დღევანდელ ხელისუფლებას.

ეროვნული დემოკრატიული ორგანიზაციის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზუგდიდის კომიტეტი.

### სოფლის მშრომელთა ყრილობაზე

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ერთ ფუნქციონერს შეეძლო გადაეწყვიტა სოფლის ბედი. გაენაწილებინა უძობელ-მოძრავი ქონება, გაესაჩუქრებინა მიწა-წყალი ისე, რომ ხალხისათვის არაფერი ეკითხა. მაგრამ დღეს ხალხის ფართო მასებისათვის შეუთანხმებლად სოფელში არაფერი კეთდება, ხალხია მიმდინარე პროცესების შემფასებელი და უტყუარი ბარომეტრი. სწორედ ამასვე მიგვანიშნებს მიმდინარე წლის 18 თებერვალს სოფელ გრგეთაში გამართული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი.

ყრილობამ განიხილა ორი საკითხი: 1. ერგეტის კუთვნილი ტერიტორიის სოფლის მშრომელებისათვის დაბრუნების შესახებ; 2. მერაბ კოსტავას სახელობის მეგრული ჯიშის ცხენსაშენისათვის ტერიტორიის გამოყოფის შესახებ. ყრილობაზე ითქვა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაიონის აკადემიის მეთაურებით და ხელშეწყობით ერგეტის კუთვნილი მიწები დაიბრუნოს რაიონისა და ქალაქის საწარმოო დაწესებულებებში. როგორც იტყვიან, მადა გამაში მოდის. ზუგდიდელმა არც წააღინებ-

ლები ჩამორჩნენ. საკითხავია, რა ხელი უნდა აქონდეს წაღწევის სატყუო მეურნეობას ზუგდიდის ტერიტორიაზე ფლობ

## დაუბრუნდეს კუთვნილი ტერიტორია

დღეს მისი სოფლის კუთვნილი მიწებს. წაღწევის სატყუო მეურნეობის მუშაკებმა ტყე-გაგვიჩანავენ; მის მოწვევაზე კი ნაკლებად ფიქრობენ. რატომ უნდა ფლობდეს გრგეტის მიწა-წყალს ენგურების მშენებლობის სამართლებლო, № 12 სამშენებლო ტრესტი, რუხისა და ჯორჯოლიშის კოლმეურნეობები, ჯუჯანოვად და უსაფრთხოდ მიგვიჩინა მათი მოქმედება. ჯერ სოფელი უნდა დაეპყროფილდეს საქირო მიწებით, რომლებსაც იჭარიან ვაცვით მოსახლეობაზე დანარჩენს კი ვაკცვით საპოვრებად, გავაშენებთ ტყის ზოლს ამით სოფელი მოდონიერდება, მოსახლეობას შეეძლება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის შესაფერისი პირობები. უხედავ ვეძებ: სიმინდს, ხორცი, რძე, ყველი და

სხვა ყრილობის მონაწილეებმა კატეგორიულად მოითხოვეს დასმულ იქნას საკითხი პრეფექტის წინაშე მიიღოს გადაწყვეტი

ზომები მატაცხული მიწების არანდით ვაცვის შესახებ... და თუ ყრილობის მონაწილეთა ეს მოთხოვნა არ იქნება დაეპყროფილბული, მოსახლეობა იძულებული იქნება არ შემოეშვა სოფელში მატაცხულები.

ყრილობამ განიხილულ საკითხზე მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: ჩვენი სოფლის კუთვნილი მიწები ჩამოერთვათ ენგურების № 12 სამშენებლო ტრესტის რუხის, ჯორჯოლიშისა და სხვა კოლმეურნეობებს და განაწილდეს იგი იჭარიან სოფლის მშრომელებზე.

ერგეტის ტერიტორიაზე შეიქმნას მერაბ კოსტავას სახელობის მეგრული ჯიშის ცხენსაშენი, რომელსაც უსახელოდ მიუღმი: სარგებლობაში გადაეცეს რუხის,

გრეგოლიშის, № 12 სამშენებლო ტრესტის, ენგურებისა და სხვათა 180-200 ჰექტარი მიწები. სადაც ძირითადად უნდა დასაქმდნენ ცვანეს ტერიტორიის მკვიდრნი, ეს იქნება ჩვენი დიდი წვლილი ეროვნული საქმეების აღორძინებაში. ვთხოვს რაიონის ხელმძღვანელობას, მიიღოს შესაფერისი ჯლონსებები ერგეტისთვის ის საკუთარი მიწა-წყლის დაბრუნების შესახებ, რათა დროულად მოკიდონ ხელი სოფლის მშრო-


მელებმა სავაჭარო საშუალებებს. სოფლის ყრილობის მონაწილეთა სახელით: მეურნეობის მუშები. ოლივანტა მამფორის, ვენადი კიმედივილი, დუდუნი ვითანაძე, გოგი ვაშაძის, ვლვარდი კიმედივილი, რაულ ავალიანი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე სოსო ჯოჯუა მეურნეობის დირექტორი.

### მადლობა თანადგომისათვის

იყო დრო, არავინ ზრუნავდა დემოკრატიის, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა მრავალშვილიან ოჯახებს, ერთს თუ გამოარჩევიდნენ სამაგალითოდ, დანარჩენები კი ზრუნვის გარეშე იყვნენ. ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე სასიკეთო ძვრებმა თვალში გამოგვანება მრავალშვილიანი დედები, მრავალს დაენიშნა დახმარებები, შეღავათები. ასეთი ოჯახებისათვის მცირე დახმარება ხომ მნიშვნელოვანია. 5 შვილის დედა ვარ, ვერ ვიტყვი, რომ შეიძლება მათი აღზრდა, მაგრამ ძალას მიათქცევენ ამის შეგროვება, რომ სამშობლოს შეიღობრავლობაში შემაქვს ჩემი წვლილი. აგრეთვე შრომას მიმსუბუქებს თანამშრომელთა თანადგომა, ინგირის აგროსაწარმოო კომბინატის დირექტორი ლ. კითანავა, რომელმაც დამინიშნა ყრველთვიური მატერიალური დახმარება 150 მანეთის ოდენობით. მადლობა მათ თანადგომისათვის.

ჯ. სუხაძარიძე





**დიდმარხვის პირველი კვირა.** მარხვის სწორად წარმართვა ბევრად დაზოგადებული იმაზე, თუ როგორ ვატარებთ ქრისტიანი დიდმარხვის პირველ კვირას. ძველი ქრისტიანები დიდმარხვაში, და განსაკუთრებით პირველ შვიდღეულში, მეტად მკაცრად მარხულობდნენ: მთელ დღეს ტაძარში ატარებდნენ და ქამდნენ უწეთო საკმელს დღეში ერთხელ მზის ჩასვლის შემდეგ. ამ მხრივ საგულისხმოა ერთი ნაწივეტი აკაკი წერეთლის „ჩემი თავდასავლიდან“, სადაც აღწერილია, როგორ ამარხულებდნენ ბავშვებს.

„უშთავრები უურადღება ჩვენი წიგნა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული, სამწუხაროდ რო ჩვენთვის დიდმარხვა იყო: მთელი დღე საღამომდის, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მტის არაფერს მიგვაკარებდნენ, საღამოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდნენ. არათუ შეტამადი რამე, ღვინო, მარილი და ზეთიც აკრძალული გვქონდა“...

ჩვენი წინაპრების მიზანძვის სურვილი უკვლავ ჩვენგანს უნდა ქონდეს, მაგრამ, მეორეს მხრივ, არც ზომიერების გრძობამ უნდა გვივალალოს. დღეს ბევრი ჩვენგანს ცდილობს გაიმეოროს

**წინა პრისტინის ცხოვრებისა**

**დიდი ნაინდა პარხვა**

მათი ღვაწლი. დიერთმა შეგვიძლია დავწავსოთ მწამს, ჩვენს შორისაც არიან ამის შემძლებელნი, მაგრამ სამწუხაროდ ეს სურვილი შედარებით და ცალმხრივია. ძველი ქრისტიანების მარხვის ასეთი სიმკაცრე მათ შინაგან სულიერ მდგომარეობას შეესაბამებოდა. ჩვენ კი არათუ პირველ ქრისტიანებზე, არამედ ასე წლის წინ მცხოვრებ ჩვენს პაპებზეც კი ბევრად უძლურნი ვართ; მათი ოდენი შედარებითი მიზანძვა ჩვენს შინაგან და გარეგან მდგომარეობებს შორის დარღვევას იწვევს, რასაც სწორად სავალალო შედეგებამდე მივყავართ. საგულისხმოა, რომ ავით აკაკიც შემოთმთყვანის ნაწივეტში ასეთ მომეტებულ სიმკაცრეს შეცდომად მიიჩნევს.

გაღიხიური წესით მცხოვრები დღევანდელი ჩვენი ქრისტიანებიდან ვისაც შეუძლია, დიდმარხვის პირველ კვირაში კვამს დღეში ორჯერ უწეთო საკმელს, ხოლო ვისაც ეს უჭირს—ზეთიანს და დღეში სამჯერ, თუ შეძლებს, ახლოსა აღაშთანა სას-

ურველია ოთხშაბათსა და პარაკლეს მანც შეიკავოს თავი ზეთისაგან.

რაც შეეხება ლოცვას, დილითა და საღამოს დამატებით ვკითხულობთ წმ. ეფრემ ასურის სინანულის მოკლე სავედრებებს „უფალო და მეფეო“...

ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარების, ილია მეორის რჩევითა და ლოცვა-კურთხევით ვინც მარხვას ანახავს, სასურველია მარხვის პერიოდში უკველ კვირას ეზიაროს. ამისთვის საჭიროა დავეხსროთ ლოცვას შაბათ საღამოს, ვთქვათ აღსარება, წაიკითხოთ ზიარების ლოცვები და კვირას წირვაზე უწმოდ მივიღეთ; ე. ი. თუ სხვა დროს ზიარების წინ საჭიროა რამდენიმე დღე მარხვის შენახვა, ახლა ეს პირობა თავისთავად სრულდება, რაც გარკვეულწილად აიოლებს ზიარებისათვის მომზადებას.

პირველი ოთხი შაბათი დიდმარხვისა (წელს ეს შაბათებია 22 თებერვალი, 12, 16 მარტი ან. სტილით, აგრეთვე ხორციელის შაბათი ანუ „კორკობა“,

რომელიც წელს აღინიშნება მთებრვალს ან. სტილით), არის მცვალებულთა მოსწენების დღეები, ეკლესიებში გაშლილია მაგიდები ხაკურთხისათვის და წირვის შემდეგ სრულდება სალოგადო პანაშვიდი.

უკანასკნელი დღე მკაცრი მარხვისა პირველ კვირაში არის პარაკლესი. შაბათს და კვირას მკაცრი მარხვა აღარ შეიძლება. ამ ორ დღეს დასაშვებია ზეთისა და ცოტაოდენი ღვინის შეღებაც.

როგორც უნდა მოიძვეს მორწმუნე, თუ რამე მიწაში მარხვის შენახვას არ შეუძლია.

ხანდახან ხდება, რომ აღამიანს მარხვის შენახვა უჭირს: ან ძალიან დასუსტებულია, ან ხნიერი, ან ავად და ექიმმა სპეციალური დიეტა დაუნიშნა: ასეთ შემთხვევაში არასამარხო პროდუქტის მიღება მარხვის დარღვევად არ ჩითვლება, თუ მორწმუნე აიღებს ლოცვა-კურთხევას, რომელსაც იძლევა ან მღვდელმთავარი, ან მღვდელი.

ამ ლოცვა-კურთხევის დღით მორწმუნემ შეიძლება მიიღოს რძის ნაწარმი და ხორციც კი, თუ ეს აუცილებელია.

მარხვის შენახვა არაა სავალდებულო აგრეთვე ბავშვებისათვის 12 წლის ასაკამდე. თუ მშობლებს მანც უნდათ ბავშვი თავიდანვე მარხვას შეაჩვიონ, ვურჩევთ ასე განსაჯონ: ბავშვისათვის ყოველდღიურად ხორცის მიღება არათუ სავალდებულო არ არის, არამედ მავნებელიცაა. ამიტომ მისი რეჟიმი ისე უნდა განსაზღვროთ, რომ ხორცისგან განტვირთვის დღეები იყოს ოთხ შაბათი და პარაკლესი.

როგორც აღვნიშნეთ, დიდი წმიდა მარხვა უკვლავ სხვა მარხვაზე საძნელესაა, მაგრამ შემწეობაც შეგიძლება გვეძლევა უფლისაგან.

ღმერთმა მოგვეცეს შადლო, გულისხმისყოფა და სულიერი თუ ფიზიკური ძალები, რათა ყოველმა ჩვენგანმა—სრულიად საქართველომ ერთიანი მარხვითა და ლოცვით ვადიდოთ მამა, ძე და სული წმიდა. ამინ.

დიაკონი პავლე შაჩუაშვილი.

გაზეთი „შადლო“, 12 თებერვალი, 1991 წ.

**„გამოვბრუნდეთ ქრისტიან მცნებისაკენ“**

მომიტევოს მკითხველმა თუ ათასგნის ნათქვამის ერთხელ კიდევ გამოვრება მიწვევა: ძალზე რთული, მტკიცეული, მრავალსახა გაჭირვების დრო გვიდგას ქართველ ხალხს. მაგრამ თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ დაღწევილი ცხოვრება ვგრეთვოდებული „საბჭოთა კავშირის“ არც სხვა რეგონებშია. უკვლავს პოლიტიკური დ ეკონომიკური ხასიათის სიძნელები, ერთგვანთშორისო კონფლიქტები იყენს თავს. ახლა ბანალურ აზრს ვიტყვი და ნურც ამის გამო გამკიცხავს ვინმე. ასეთი მდგომარეობა იმ საშინელმა ათწლეულდება მოიტანა, რომელსაც ერთპარტიული დიქტატა მთქმოდლა წინ ბედნიერი მომავლის მოახლოების უბადაღებული ლოწუნვით.

ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი კაცი იოლად და დუფიქრებლად სჭის: წინათ ამდენი გაჭირვება და დეფიციტი არ იყო, შედარებით უფრო ასატანი პირობები გქმონდაო. ამისთანა ობიექტული მსჯელობაში „სამართლისა და ობიექტურობის ნახსიცი არ არის. ზოგი ამას უფიცობით აცხადებს, მავანი კი ფარისევლობს, ხალხში უიმედობის პანთეის დათესვა სურს. განა ცარიელი დახლები და ფულის ინფლაცია გუშინდელი დღის რეალობა არ არის? განა უსამართლობა და ძალმომრეობა, პიროვნების ღირსების აბურად ავდება, ზღვარდაუღები კორუფცია და თვითნებობა უკვე ყოფილი მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობითი სისტემის „ტყბილი ნაყოფი“ არ იყო? აბა, სადად გავიწროთ: რა ჩიბარა ხელისუფლების სა-

თავში ხალხის ნებათ მოსულმა ახალმა მთავრობამ? მოწილი, გაჩანაგებული გგონოქია, ნოღამდე დასული წესრიგი და დისციპლინა, მმართველი სტრუქტურების დაკნინებული ავტორიტეტი. და რაც მთავარია, უიმედოდ, უსასოოდ დარჩენილი მშრომელი აღამიანები, რომლებიც მოტუფების, აბურად ავღების ობიექტები იყვნენ. ამას დამატებული იმ ვაიკარფვლების ღვგიონი, რომლებიც კომუნისტურმა რეჟიმმა პირუტყვებს დაამსგავსა, სახარბის, მომხვეჭელობის ცხოველური ღინით დამუხტა და ათანაირი ფარული, სამრახს გზებით ქონება აგროვებინა. დღეს ბევრი მათგანს მოჩვენებითად წუწუნებს, გარშემო პანთეას თესავს. მათ მოყვასის გაქნელებული ყოფა კი არ აღარდებს, არამედ ის, რომ არმოდ მონაგარი შეიძლება დაკარგოს, მონაგარი სტრუქტურის ცხოვრება ვვლარ შექლონ.

ჩემი აზრით, ახლა საქართველო ასე თუ ისე წაღმა შემობრუნდა. დადგა დრო თვალის გახელისა, ღრთმინეთის გვერდით დგომის და ქრისტიანული სიყვარულით ერთუერთის შეუვარებისა. თუ ერთად ვიქნებით და მოვიწოდებით, დავამკვიდრებთ ისეთ დროს, როცა ვკონომიკური კეთილდღეობას ბუნებრივი უნარით მოვიპოვებთ და არა უკანონო გზებით. როცა შრომითა და ჭაფით დავროვილი სიყვითე სამართლიანად განაწილებდა აღამიანებს შორის, როცა მთელი ერთი წესობრივი კანონების, ქრისტეს მცნებების შესატყვისად დაიწყებს ცხოვრებას.

ბ. ბრანბი, ჩვენი კორ.

**საზონის წინ**

საწარმოსაც აღამიანივითა აქვს თავისი ბიოგრაფია, წარსული, აწმყო თუ მომავალი. ასეა ინგირის ჩაის ფაბრიკაც. იგი ოთხ ათეულ წელზე მეტია მუშაობს და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში აგუანის პროდუქციას.

1949 წელს გადგევა ფაბრიკი საექსპლოატაციოდ, პირველ წლებში მხოლოდ 3 ათას ტონა ჩაის ხარისხიან ფოთოლს ამუშავებდა, შარშან კი ფაბრიკამ შამგონისა და ინგირის კოლმეურნეობებიდან და ინგირის აგროსამრეწველო კომბინატიდან 5300 ტონა „მწვანე ოქრო“ მიიღო და გადამამუშავა.

ფაბრიკის (დირექტორი დ. იზორია, მთავარი ტექნოლოგი ვ. შენგელი) კოლექტივი დროზე შეუდგა მზადებას სეზონისათვის. გასული წლის სექტემბერში კოლექტივი დიდი ამოცანის

მომავალი სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით შეიქმნა ბრიგადა, რომელიც ფაბრიკის

**ერთსულოვნება**

10 თანამშრომელს აერთიანებს. ბრიგადის მთავარი მექანიკოსი გ. ქობალი ხელმძღვანელობს. ზეინკლები ვ. შაშკოვი, ბ. ყალიჩაია, დ. მამფორია, ელექტრომეტიკორები გ. ახობაძე, ლ. კუტოვი, ვ. ბელიუსოვი, ვ. მინჯორაია და სხვები სამუშაოებს მაღალხარისხიანად ასრულებენ.

როგორც ფაბრიკის მთავარმა ბუღალტერმა გ. ვაგუამ განაცხადა, დამთავრდა საღამო აგრეგატების რემონტი. წესრიგშია საგრები საამქრო. მიმდინარეობს სახმობი და დამხარისხებელი საამქროების შეკეთება.

კოლექტივი დიდი ამოცანის

წინაშეა. წელს ფაბრიკამ უნდა მიიღოს და გადამამუშაოს 5500 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. ზუგდიდური მარკით პროდუქ-

**დავძლიოთ შური, ამბიციები**

საქართველოს ისტორია ხოცირად მრავალსახა, ბევრისმეტყველი და თავისთავადი ფენომენია. დასაბამიდან ქართველი კაცისთვის უცხო არ იყო ათასი ჭურის მონართან სამკვდრო-სახიცოცხლო ჭიდილი. მაგრამ მიუხედავად ტრაგიკული კოლიზიებისა, ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან მატანებს წითელ ზოლად ვასდევდა შენების, კონსოლიდაციის უნი. რა თქმა უნდა, იყო შინა უფილი, ქიშპობა და შურიანობაც, მაგრამ ერის შინაგანი თვისება, გენეტიკური კოდიოთ მოტანილი დღემდე,

მანც კირსა შიგან გამაგრება, მომხდურთა წინაშე ერისა და ბერის გაერთიანება იყო ამ რწმენითა და ერთსულოვნებით დავიცავით ენის სიწმინდე, ჭვარი ვაწიხა და ჩვენი სულის საოხი ღვთაებრივი საგალობლები.

ქართველი კაცისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი მარტოსულობა. შეუძლია წმინდა იდეისთვის იმარტვილოს კიდევ, მაგრამ სინამდვილისაგან განდგომა მანც უჭირს. იგი ერთობას მიეღტვის, აღამიანთა საკრებულში ტრიალი მისი სტიქია. სხვათადად ჩვენებურ

კაცს, ხოცირად მგრძნობიარეს, წელში გასტენდა წუთისოფლის სივრცაგე და ამოცხა. დავაკვირდეთ ახლანდელ დროს. მართალია, უდიდესი საქმე გაკეთდა, ეროვნულმა თვითშეგნებამ გაიღვიძა, მაგრამ ხდება მოვლენები, რომლებიც გუნებას გვიზხამავენ. ცალკეულ აღამიანთა სისასტიკემ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ფრთხილად გავალა შურის, დალატის, სხხარბის სტიქიამ. არადა, ახლა ის დროა, ამდაგვარ კნინ თვისებებს ჩვენგე უნდა ვთრგუნავდეთ საქუთარ თავში.

ნ. ყოლანდარიძე, ექიმი თერაპევტი,



